საექსპერტო დასკვნა

ქ. თბილისში, ვანის ქ№4 -ში (ს/კ 01.13.06.006.064), მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული პროექტის კონსტრუქციულ ნაწილზე

ექსპერტიზაზე წარმოდგენილია ქ. თბილისში, ქ. თბილისში, ვანის ქ№4 - ში (ს/კ 01.13.06.006.064), მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული პროექტის კონსტრუქციულ ნაწილზე.

შენობა შედგება 1 ავტოფარეხის, 1 ნაწილობრივ საოფისე და ნაწილობრივ ავტოსადგომისა და 12 საცხოვრებელი სართულისაგან.

სამშენებლო უბანი ხასიათდება შემდეგი ფიზიკურ-მექანიკური მახასიათებლებით:

1. სეისმურობა – 8 ბალი;
2. ქარის დატვირთვა – 70 კგძ/მ^2.;
3. თოვლის დატვირთვა – 50 კგძ/მ^2.

საძირკვლის კონსტრუქციას წარმოადგენს φ100 სმ. ბურღვით-ნატენი ხიმინჯების და საძირკვლის რკინაბეტონის მონოლითური ფილის H=0.4 --- 0.7 მ. ერთობლიობა.

საძირკვლის ფუძედ ხიმინჯებისთვის მიღებულია გამოფიტული ქვიშაქვები და არგილიტები ფენა №5 Rcn=60.0 კგძ/სმ^2. საძირკვლის მონოლითური ფილა 1-ისთვის მიღებულია ფენა №2, მოყვითალო-მოყავისფრო თიხნარი ხვინჭის ჩანართებით Ro=2.0 - 2.2 კგძ/სმ^2.

სარდაფის კედლები – რკინაბეტონის მონოლითური, სისქით 30 სმ.

შენობის მზიდ კონსტრუქციას წარმოადგენს რკინაბეტონის კარკასი:

მონოლითური სვეტები – კვეთით (50X90, 50X80, 50X70, 50X60, 50X50) სმ;

რიგელები – კვეთით (50X55. 40X55) სმ.

დიაფრაგმები – სისქით 20 სმ.

შენობის სართულშუა გადახურვები განხორციელებულია რკინაბეტონის მონოლითური ფილებით, სისქით 20 და 18 სმ.

კარკასის შევსება წვრილი ბლოკით, სისქით 20 სმ.

კიბის კონსტრუქცია – რკინაბეტონის მონოლითური.

საპროექტო შენობის, ქვაბულის ფერდის და მომიჯნავე შენობების მდგრადობის უზრუნველყოფის მიზნით გათვალისწინებულია ф30 სმ. ბურღვით-ნატენი ხიმინჯების ფარდა.

პროექტის არქიტექტურული ნაწილის კორექტირების შედეგად კონსტრუქციულ ნაწილში მოხდა შემდეგი ცვლილებები :

გაუქმდა 'ა^{II}' ღერძის ქვემოთ '1^{I} – 6' ღერძებს შორის განთავსებული კონსტრუქციები.

გაუქმდა 'ე' ღერძის ზემოთ '3-6' ღერძებს შორის განთავსებული კონსტრუქციები.

'2' ღერძი გაიწია ხელმარჯვნივ 19 სანტიმეტრით.

გაუქმდა 'ე^{I}' ღერძი.

'ე' ღერძი ჩამოიწია ქვემოთ 1.1 მეტრით.

შეიცვალა საძირკვლის რკინაბეტონის მონოლითური ფილის კონტური.

გაუქმდა 'ა' აღერძის ქვემოთ 'უსახელო ღერძის და 1' ღერძზე განთავსებული რკინაბეტონის მონოლითური სვეტები.

გაუქმდა '2' ღერძზე 'დ-ა^{I}' ღერძებს შორის განთავსებული რკინაბეტონის მონოლითური სვეტი.

შეიცვალა 'ა^{I}-ე' და '1-3' ღერძებზე განთავსებული რკინაბეტონის მონოლითური სვეტის ზომები.

შეიცვალა 'ა^{II}' ღერძის ქვემოთ განთავსებული რკინაბეტონის მონოლითური სვეტების ზომბი.

გაუქმდა ‘6’-ე ღერძზე განთავსებული რკინაბეტონის მონოლითური კედლები და რკინაბეტონის მონოლითური სვეტები.

‘6’-ე ღერძზე განთავსებული რკინაბეტონის მონოლითური კედლები და რკინაბეტონის მონოლითური სვეტები გადაიწია ხელმარცხნივ 85 სანტიმეტრით.

ყველა ზემოთ ჩამოთვლილი ხარვეზი და ცვლილება წარმოადგენს ადრე გამოშვებული პროექტის დარღვევას. ამ დარღვევების გათვალისწინებით მოხდა პროექტის, როგორც არქიტექტურული ისე კონსტრუქციული ნაწილის კორექტირება. ეს დარღვევები და ხარვეზები არ ეწინააღმდეგება საქართველოში მოქმედ სამშენებლო ნორმებს და წესებს.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ყველა ზემოთ ჩამოთვლილი ცვლილება, და ხარვეზი გათვალისწინებულია შენობის კომპიუტერულ გაანგარიშებაში.

საპროექტო შენობის და ქვაბულის ფერდის გაანგარიშება, რომელიც უზრუნველყოფს მომიჯნავე შენობების მდგრადობას ასახულია გამოთვლითი კომპლექსის „LIRA Sapr 2016“-ის გამოთვლებში, რომელიც ეფუძნება სასრულ ელემენტთა მეთოდს და რეალიზებულია გადაადგილებებში.

პროექტის კონსტრუქციული ნაწილი შესრულებულია საქართველოში მოქმედი სამშენებლო ნორმებისა და წესების მოთხოვნების დაცვით, შესაბამისად, შენობის მდგრადობა უზრუნველყოფილია და პროექტს ეძლევა ცალსახად დადებითი საექსპერტო შეფასება.

ექსპერტი – საკონსტრუქტორო
განყოფილებისმთ. სპეციალისტი გ.რეხვიაშვილი

. 25.06.2023 წ.